<u>დამტკიცებულია 08.02.10 რექტორის №02-162 ბრძანებით</u>

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ

მასწავლებლის პროფესიული განვითარების

პროგრამის განხორციელების წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი), თავისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით (შემდგომში ცენტრები), ახორციელებს მასწავლებლების (შემდგომში - მასწვლებლები) პროფესიული განვითარების პროგრამებს ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

2. მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა დასკვნისათვის წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის პროექტი უნდა შეიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით "მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების დამტკიცების შესახებ" და ამ ბრძანების საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტებით.

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე შესაბამისი ცენტრის ხელმძღვანელი წარუდგენს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს ამ პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადისათვის საჭირო ყველა ინფორმაციას:

   ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია;

   ბ) პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული ჩამონათვალი;

   გ) პროგრამის მწვრთნელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

   დ) პროგრამის მწვრთნელების ავტობიოგრაფიები;

   ე) სერთიფიკატის ფორმა;

ვ) პროგრამის აკრედიტაციისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

5. სააკრედიტაციო განაცხადისათვის საჭირო ინფორმაცია უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს წარედგინება სააკრედიტაციო განაცხადის განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარდგენამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე.

6. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამას უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგი წესების დაცვით:

   ა) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის უნივერსიტეტში გავლის მსურველ ყველა მასწავლებელს უნდა ჩაუტარდეს წინასწარი შერჩევა ტესტირების გზით. უცხო ენების მასწავლებელთა ენობრივი კომპეტენციის დასადგენი ტესტიდან თავისუფლდებიან ის მასწავლებლები, რომლებიც ცენტრს წარუდგენენ ევროპის სარეკომენდაციო საბჭოს მიერ დადგენილ არანაკლებ B1 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს. მასწავლებლის მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საუნივერსიტეტო ან სხვა პროგრამაზე დასწრების ადრინდელი გამოცდილება არ ათავისუფლებს მას ამ ტესტის ჩაბარების ვალდებულებისაგან. ტესტი უნდა ამოწმებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ და იმ კომპეტენციებს, რომლებიც სავარაუდოდ მოთხოვნილი იქნება მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდაზე. ტესტს შეიმუშავებს მასწავლებელთა განვითარების შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრავს მისი გადალახვის მინიმალურ ზღვარს და დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

   ბ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამის უნივერსიტეტში გავლის შემდეგ ყველა მასწავლებელს უნდა ჩაუტარდეს ტესტირება ან სხვა სახის გამოცდა მის მიერ მიღებული ცოდნის შემოწმების მიზნით. მასწავლებელი, რომელიც წარმატებით ვერ ჩააბარებს აღნიშნულ გამოცდას, ვერ მიიღებს შესაბამის სერთიფიკატს. საბოლოო გამოცდის შინაარსს შეიმუშავებს და მისი ჩატარების ადმინისტრირებას განახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ განსაზღვრული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის პროგრამის ხელმძღვანელი, ცენტრის დირექტორი და ერთი ტრენერი (გარდა შესაბამისი ტრენინგის ხელმძღვანელისა).

7. ინფორმაცია მასწავლებელთა შერჩევის და საბოლოო შეფასების შესახებ უნდა წარედგინოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე.

8. მასწავლებელთა შერჩევის და საბოლოო შეფასების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით უნივერსიტეტი გამართავს პრესკონფერენციას მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე. პრესკონფერენციას აორგანიზებს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების განმახორციელებელმა ცენტრებმა უნივერსიტეტის მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები უნდა შეათანხმონ უნივერსიტეტის ფინანსურ სამსახურთან. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ბიუჯეტს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელების ეს წესი ვრცელდება ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების იმ პროგრამებზეც, რომლებიც ამ წესის მიღების დროისათვის უკვე აკრედიტებულია და ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამისი ცენტრების მიერ.